მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 9

2011 წლის 21 იანვარი

ქ. მცხეთა

1984-1993 წლებში დაბადებულ მცხეთის მუნიციპალიტეტის მოქალაქეთა სამხედრო სავალდებულო სამსახურში 2011 წლის საგაზაფხულო გაწვევის ორგანიზებულად ჩატარების შესახებ

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ ,,სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლისა და ,,სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2011 წლის საგაზაფხულო გაწვევის შესახებ'' საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 14 იანვრის №23 ბრძანებულების შესაბამისად, მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2011 წლის 20 იანვრიდან 1 ივლისამდე ხორციელდება მცხეთის მუნიციპალიტეტის მოქალაქეთა გაწვევა სამხედრო სავალდებულო სამსახურში.

გაწვევის დროულად და ორგანიზებულად ჩატარების მიზნით,

1. შეიქმნას მცხეთის მუნიციპალიტეტის გამწვევი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ანდრო კალანდაძე — მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე _ კომისიის თავმჯდომარე;

ოთარ პაპავაძე — მცხეთის მუნიციპალიტეტის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსი _ თავმჯდომარის მოადგილე;

წევრები:

ჯემალ ჩარექაშვილი — შსს მცხეთის რაიონული სამმართველოს უფროსის მოადგილე;

თამაზ გრძელიშვილი — მცხეთის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი;

ცირა ფხოველიშვილი — მცხეთის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის სპეციალისტი.

იოსებ ელგენდარაშვილი — მცხეთის მუნიციპალიტეტის საფინანსო-

საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;

ილია ჯიშკარიანი მცხეთის მუნიციპალიტეტის ქონების აღრიცხვის, მართვის და სტატისტიკის განყოფილების უფროსი;

თეიმურაზ აბაშიძე მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი-კომისიის მდივანი.

2. გამწვევი კომისია მუშაობას შეუდგეს მიმდინარე წლის 1 იანვრიდან და სათანადო გრაფიკის მიხედვით გამოძახებულ იქნენ მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ის წვევამდელები რომელთაც გაწვევის დღისათვის შესრულებული ექნებათ 18 წელი. აგრეთვე ის უფროსი ასაკის წვევამდელები, რომელთაც დაუმთავრდათ გაწვევიდან გადავადება, ან სხვა რაიმე მიზეზით არ ყოფილან გაწვეულნი. პირველ რიგში, გაწვეულ იქნენ უფროსი ასაკის წვევამდელები.

3. ქალაქ მცხეთის და სოფლის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელებმა:

ა. ორგანიზებულად ჩაატარონ გაწვევის ღონისძიებები მათდამი დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე.

ბ. დროულად აცნობონ წვევამდელებს სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გამოძახების შესახებ და უზრუნველყონ მათი ორგანიზებული გამოცხადება მუნიციპალიტეტის გამწვევი კომისიის სხდომაზე.

4. ეთხოვოს შსს მცხეთის მუნიციპალიტეტის სამმართველოს უფროსს, გაწვევის სამსახურის შეტყობინებების საფუძველზე, კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში, დროულად მიიღოს ზომები იმ წვევამდელთა მიმართ, რომლებიც შეეცდებიან თავი აარიდონ გამწვევ კომისიაზე გამოცხადებას.

5. დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს უზრუნველყოს ახალგაზრდების გაწვევასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსება. გამოყოს საჭირო თანხები წვევამდელთა აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურისათვის საწვავის შესაძენად და წვევამდელთა შემკრებ პუნქტამდე ტრანსპორტირებისათვის.

6. ის წვევამდელები, რომლებიც რაიმე მიზეზით ვერ მიიღებენ პერსონალურ უწყებას გაწვევის თაობაზე, ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურში მიმდინარე წლის 1 თებერვლამდე.

7. სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურმა :

ა. შემკრებ პუნქტში გასაწვევად გამოიძახოს მხოლოდ სამხედრო სამსახურისათვის ვარგისი წვევამდელები;

ბ. უზრუნველყოს გაწვეულთა შემკრებ-გამანაწილებელ პუნქტში მიყვანა არსებული გრაფიკის ზუსტი დაცვით;

გ. გაწვევის დამთავრებიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადისა გამწვევ კომისიას წარუდგინოს სრული ანგარიში სათანადო ფორმების შესაბამისად;

8. გაწვევის მიმდინარეობა გაშუქდეს ადგილობრივი საინფორმაციო საშუალებით.

9. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.

10. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში ერთი თვის ვადაში. მცხეთა, სამხედროს ქუჩა №17.

საკრებულოს თავმჯდომარე ანდრო კლანდაძე